კოლაბორაციული ფილმწარმოება

სახელმძღვანელო

მონაწილეობითი, ვიზუალური კვლევის მეთოდი

დოკუმენტი მომზადებულია პროექტის "ქალები ქალების ჯანმრთელობისთვის" ფარგლებში
დოკუმენტი ქართულ ენაზე თარგმნა არასამთავრობო ორგანიზაციამ "ასოციაცია საზოგადოების კეთილდღეობისთვის"
პროექტის ფინანსური მხარდამჭერია "ქალთა ფონდი საქართველოში"

დოკუმენტის ორიგინალი ვერსიის სანახავად,
გთხოვთ ეწვიეთ ელექტრონულ გვერდს:
www.collaborativefilmmaking.com

2022

მოგესალმებით!

ჩვენთვის, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი გულშემატკივრებისთვის, კოლაბორაციული ფილმწარმოება ჩვენი ამ ორი უდიდესი ინტერესის შემოქმედებით და მიმზიდველ ერთიანობას წარმოადგენს.
2016 წლიდან ვმუშაობთ პიტსბურგის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში, რათა შევისწავლოთ ორიგინალური გზები და ფილმწარმოება საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის ერთ-ერთი მეთოდი გავხადოთ. სარას დოკუმენტური ფილმწარმოებისა და გადაღების, ასევე, გლობალური ჯანდაცვის კვლევის გამოცდილება აქვს. იგი ამ ორ მომხიბლავ სფეროში მსოფლიოს მასშტაბით 12 წლის განმავლობაში მუშაობდა. ჯესიკას, როგორც თემზე ორიენტირებული კვლევების ექსპერტსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესორს, ინოვაციური და შემოქმედებითი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მეთოდოლოგიის განვითარებისა და პრაქტიკაში გამოყენების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. გადაღებასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ჩვენი მოწოდებებისა და კომპეტენციების ერთობლიობამ საშუალება მოგვცა განგვევითარებინა კოლაბორაციული ფილმწარმოება, როგორც კვლევის მეთოდი.
მოხარულები ვართ, რომ დაინტერესდით კოლაბორაციული ფილმწარმოების მეთოდის გამოყენებით თქვენს სამომავლო კვლევასა თუ პროექტში. ჩვენ განვავითარეთ აღნიშნული ვიზუალური და შემოქმედებითი მეთოდი, რადგან გვწამს ხელოვნების ძალის, რომელსაც იგი ასრულებს ადამიანის გამოცდილებათა შეცნობისა და თემის ჩამოყალიბების პროცესში. წინამდებარე მცირეტანიანი სახელმძღვანელო შეიქმნა, რათა მოგაწოდოთ ის კვლევითი ინსტრუმენტები, რომლებიც საჭიროა კოლაბორაციული ფილმწარმოების დასაწყებად. იქონიეთ ეს სახელმძღვანელო თან შემდეგი პროექტის დაგეგმვისა და შექმნის დროს. იმედი გვაქვს, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი თამაშები და სავარჯიშოები იქნება თქვენი და თქვენი თანაგუნდელების გზამკვლევი კვლევის პროცესში. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენთან დასაკავშირებლად საკმარისია მხოლოდ ერთი ელექტრონული წერილი, ან სატელეფონო ზარი (ან ტვიტერი). გვახარებს სხვა ადამიანების გამოხმაურება მსოფლიოს მასშტაბით იმის შესახებ, თუ როგორ ჩართეს საკუთარ პროგრამებსა და კვლევებში კოლაბორაციული ფილმწარმოების მეთოდი. ამგვარად, მოგვწერეთ, მოგვნიშნეთ და გაგვიზიარეთ თქვენი ფილმები. მოუთმენლად ველით თქვენი შემოქმედების ნახვას.

ბედნიერი გადაღებები!

სარა და ჯესიკა

საავტორო უფლებების შესახებ!

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალები ვრცელდება საავტორო უფლებების საჯარო ლიცენზიის (ინგლ. creative commons license) ქვეშ. შესაბამისად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალები შესაძლებელია ჩამოიტვირთოს, გადამრავლდეს, გადაეცეს მესამე პირს და გავრცელდეს მხოლოდ, საგანმანათლებლო ან კვლევითი მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ შესაბამისი კრედიტები ეკუთვნის პიტსბურგის საზოგადოებრივი ჯანდაცვის უნივერსიტეტს. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: creativecommons.org/licenses/by-nc- nd/4.0/.
სახელმძღვანელოს მასალების გამოყენება კომერციული მიზნებისთვის მკაცრად აკრძალულია პიცბურგის უნივერსიტეტის ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე. დამატებითი ინფორმაციისთვის სახელმძღვანელოს ან კოლაბორაციული ფილმწარმოების მასალების კომერციული მოხმარების შესახებ დაუკავშირდით პიტსბურგის ინოვაციათა ინსტიტუტს ნომერზე 412-383-7670.
აღნიშნული მასალები შეიქმნა პიტსბურგის უნივერსიტეტის გლობალური ჯანდაცვის ცენტრისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით (Nationality Rooms Scholarship, International Studies Fund, and the Indo-Pacific Graduate Student Research Grant), ხოლო ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა არასამთავრობო ორგანიზაცია "ასოციაცია საზოგადოების კეთილდღეობისთვის" მიერ "ქალთა ფონდი საქართველოში"-ს ფინანსური მხარდაჭერით.

სარჩევი

შესავალი	6
რატომ ფილმი?	6
რა არის კოლაბორაციული ფილმწარმოება?	7
კოლაბორაციული ფილმწარმოების ვიზუალური წარდგენა	7
საფეხურეობრივი გზამკვლევი	8
ნაბიჯი 1: შესავალი, ორიენტირი და სწავლება	9
ნაბიჯი 2: გადაღება/მონაცემთა შეგროვება	15
ნაბიჯი 3: ფილმის მონტაჟი და მომზადება ანალიზისთვის	15
ნაბიჯი 4: ერთობილივი ანალიზი	16
ინდივიდუალური ერთობლივი ანალიზის სესია	16
ჯგუფური ერთობლივი ანალიზის სესია	17
ერთობლივი ანალიზისა და ჯგუფური დისკუსიის გზამკვლევი კოლაბორაციული ფილმწარმოებისთვის	18
ნაბიჯი 5: ჩვენება თემში	20
ნაბიჯი 6: შედეგების სინთეზირება ფართე გავრცელებისთვის	21
სხვა ღირებული რესურსები	22
ბიბლიოგრაფია	23
ინფორმირებული თანხმობის ფორმები	24

შესავალი
რატომ ფილმი?

ფილმი, როგორც ვიზუალური კვლევის მეთოდი არის ადამიანის გამოცდილებათა გაზიარების უნიკალური შესაძლებლობა.
ამბის თხრობა ადამიანად ყოფნის ცენტრალური ფიგურაა, ხოლო ფილმს აქვს ძალა ჩართოს ამბის თხრობის კრიტიკული ელემენტები და დააკავშიროს ისინი ვიზუალურ მხარესთან გამოცდილებების, შეხედულებებისა და შეტყობინებების გაზიარების მიზნით. ფილმს შეუძლია გამოავლინოს ცხოვრების სირთულეები, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქცევებისა და რწმენების შესაცნობად. ამასთანავე, შეუძლია იყოს შესაძლებლობების გაფართოვებისა და მხარდაჭერის ინსტრუმენტი (Baumann et al., 2020). სამედიცინო მეცნიერებებში ფილმწარმოების მეთოდი გამოიყენება ისეთი საკითხების გამოსაკვლევად როგორიცაა: ასთმა (Gupta et al., 2013) (Warren et al., 2016) მოზარდთა ჯანმრთელობა (Chung et al., 2013) (Akre et al., 2015) ვაქცინაცია (Lundström et al., 2012) მენტალური ჯანმრთელობა (Petros et al., 2016) (Mirza et al., 2017) და ა.შ.
ამასთანავე, მონაწილეობითი მიდგომის ჩართვა ფილმწარმოებაში იძლევა ცოდნის პროდუქციაში თანამშრომლობის საშუალებას, რომელიც თავის მხრივ, მარგინალიზებულ ჯგუფებს საკუთარი სახელით საუბრის შესაძლებლობას აძლევს (Rogers, 2013) (Samuel, 2002). ფილმის, როგორც მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტის სარგებლიანობის მიღმა, კოლაბორაციული ფილმწარმოების შედეგად მიღებული ვიზუალური მასალის გამოყენება ასევე შესაძლებელია თვითშემეცნებისთვის, ცნობიერების ამაღლებისა და სოციალური ცვლილების მხარდასაჭერად (Rogers, 2013) (Catalani et al., 2012). გადაღების მეთოდების ხარჯთ-ეფექტურობისა და ტექნიკური სიმარტივის გამო, მარტივია მასზე წვდომა და მისი სხვადასხვა გარემოში გამოყენება.
ფილმწარმოების სარგებლიანობისა და კოლაბორაციული ფილმწარმოების გამოცდილებების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ რესურსების განყოფილება და გამოუქვეყნებელი აკადემიური მასალები საიტზე www.collaborativefilmmaking.com.

რა არის კოლაბორაციული ფილმწარმოება?

კოლაბორაციული ფილმწარმოება აერთიანებს ორ - ვიზუალურ და მონაწილეობით კვლევის მეთოდებს, სადაც საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით მონაწილეები სწავლობენ ფილმების შექმნას, ანალიზსა და გადაღებას.

პირველადი იდეების ფორმირებიდან დაწყებული საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემით დამთავრებული, კვლევის მთელი პროცესის განმავლობაში, კვლევის ეს მეთოდი მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების გზით მონაწილეებს ეხმარება ჩამოყალიბდნენ ფილმის შემქმნელებად და თანამწარმოებლებად. კოლაბორაციული ფილმწარმოება, როგორც მეთოდი, მკვლევრებსა და თემის წევრებს აძლევს საშუალებას მოიპოვონ გრძნობებზე დაფუძნებული ცოდნა (მაგ.: ხმა, გარემო, მოძრაობები, პოზები, ვიზუალები და მოქმედებები) და მათთვის საინტერესო კითხვებზე საპასუხოდ დეტალურ მონაცემებს მოუყარონ თავი.

კოლაბორაციული ფილმწარმოების მეთოდი მონაწილეებს აძლევს საშუალებას თავად შექმნან საბოლოო პროდუქტი ფილმის სახით, რომელიც თავის მხრივ, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ცნობიერების ასამაღლებლად, სამომავლო პოლიტიკისა და ინტერვენციების შემუშავებისთვის. მაშინ როდესაც ეთიკური გამოწვევების საპასუხოდ საჭიროა სიფრთხილით დაგეგმვა, კოლაბორაციული ფილმწარმოება განსაკუთრებით სასარგებლოა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სენსიტიური საკითხების გამოსაკვლევად და პრაქტიკების, ურთიერთობებისა და სივრცეების დეტალური შემეცნებისთვის, რომელთა აღწერაც სხვა, არსებული კვლევის მეთოდების ფარგლებში მარტივი არაა. ეყრდნობა რა ხელოვნების სხვა დარგების ტრაექტორიასა და თემზე დაფუძნებულ მეთოდებს, კოლაბორაციული ფილმწარმოება არის მონაწილეობითი კვლევის მეთოდი, რომელიც ეფექტური აღმოჩნდა სენსორული მონაცემების სახით ქცევის, მოტივაციისა და რწმენების შესახებ უმცირესი დეტალების შეგროვებაში. აღნიშნული ასევე შესაძლოა სასარგებლო იყოს საადვოკაციოდ.

კოლაბორაციული ფილმწარმოების ვიზუალური წარდგენა

წინამდებარე მოკლემეტრაჟიანი ფილმი წარმოგვიდგენს კოლაბორაციული ფილმწარმოების ექვს საფეხურს და შორეული დასავლეთ ნეპალის პროექტიდან ფილმის ჩანაწერებს https://vimeo.com/239271038.

საფეხურეობრივი გზამკვლევი

კოლაბორაციული ფილმწარმოება, როგორც კვლევის მეთოდი ექვსი საფეხურისგან შედგება. კონკრეტული აქტივობები და მის განსახორციელებლად საჭირო დრო შესაძლოა განისაზღვროს საკვლევი კითხვებისა და პოპულაციის გათვალისწინებით. წინამდებარე საფეხურეობრივი გზამკვლევი გვაწვდის საჭირო ინსტრუმენტებს კვლევის დასაწყებად და დეტალებს თითოეული საფეხურის განსახორციელებლად.

საფეხური 1: სწავლება

საფეხური 2: ფილმის გადაღება

საფეხური 3: ფილმის აწყობა და ერთობლივი ანალიზისთვის მზადება

საფეხური 4: ერთობლივი ანალიზი (ინდივიდუალური და ჯგუფური)

საფეხური 5: თემში ფილმის ჩვენება (არაა სავალდებულო)

საფეხური 6: მონაცემთა სინთეზი

ნაბიჯი 1: შესავალი, ორიენტირი და სწავლება

მიზანი

ინტერაქციული და პრაქტიკული სემინარების საშუალებით, მონაწილეებისთვის კოლაბორაციული ფილმწარმოებისა და საკვლევი კითხვების წარდგენა; ასევე, ფილმწარმოების საფუძვლების სწავლება.

აქტივობები

საკვლევი კითხვების შერჩევა და წარდგენა

აღწერა: მნიშვნელოვანია მონაწილეებს კვლევის დასაწყისშივე ზუსტად ესმოდეთ საკვლევი კითხვების არსი. მკაფიო და ერთ საკითხზე ფოკუსირებული საკვლევი კითხვის/ფილმის მონახაზის შერჩევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა მონაწილეებმა არ გადაუხვიონ საკვლევი საკითხიდან და შეძლონ საკითხის რელევანტური ფილმების გადაღება. სხვადასხვა კონტექსტში დაგროვილ გამოცდილებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კოლაბორაციული ფილმწარმოებისას რაც უფრო ცხადი და მკაფიოა კითხვები, მით უფრო მარტივია ფილმის შემქმნელებისთვის უპასუხონ საკვლევ კითხვებსა და აწარმოონ ფილმი, რომელიც ეხმიანება კვლევის მიზანს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაღებაში გამოუცდელ მონაწილეებთან მუშაობისას, რომლებსაც სჭირდებათ შესაბამისი უნარები და თავდაჯერებულობა გადაღების ტექნიკურ მხარესთან მიმართებაში. საერთო აქტივობა სწავლების დასაწყისში რეკომენდებულია საკვლევი კითხვის წარსადგენად და სამუშაო თემასთან დაკავშირებით მონაწილეებისგან თავდაპირველი იდეების შესაგროვებლად. აღნიშნული პირველი ჯგუფური აქტივობა მონაწილეებს საკუთარ ფილმთან დაკავშირებით იდეების გენერირებაში, ხოლო მკვლევრებს საკვლევ კითხვებზე ფოკუსირებისას მონაწილეთათვის მიმართულების მიცემაში დაეხმარება.

აქტივობა 1: საკვლევი კითხვების წარდგენა მსგავსთა დაჯგუფების გზით

საჭირო მასალები:

- წებოვანი ფურცლები
- მარკერები/კალმები
- დიდი ფორმატის ქაღალდი (სამაგრით)

ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- მოამარაგეთ მონაწილეები წებოვანი ქაღალდების დასტითა და მარკერებით და სთხოვეთ ფურცლებზე იდეების ან ჩანახატების გაკეთების გზით უპასუხონ საკვლევ კითხვებს.
- მიეცით მონაწილეებს ხუთი წუთი დავალების ინდივიდუალურად შესასრულებლად.
- შემდეგ, შეიკრიბეთ კედელზე გაკრული დიდი ცარიელი ფურცლის გარშემო და სთხოვეთ მონაწილეებს რიგრიგობით მივიდნენ მასთან, გააზიარონ საკუთარი იდეა და მიაწებონ ფურცელზე. თუ იდეა დაკავშირებულია მანამდე გაჟღერებულ სხვა იდეასთან სთხოვეთ მონაწილეს ესეთი ფურცლები ერთად განათავსონ (ე.ი. დააჯგუფონ). თუ იდეა არაა კავშირში სთხოვეთ მონაწილეს წამოიწყოს იდეათა ახალი ჯგუფი. განაგრძეთ სანამ ყველა იდეა არ გაზიარდება ჯგუფში.
- როცა ყველა იდეა დაჯგუფდება, დაარიგეთ მარკერები და სთხოვეთ მონაწილეებს იმსჯელონ და მიანიჭონ თითოეულ იდეათა დაჯგუფებას სათაური. მონაწილეებს სამსჯელოდ 5 წუთი მიეცით.
- ფასილიტატორი აქტივობას იდეებისა და იდეათა დაჯგუფებისთვის მინიჭებული სათაურების შეჯამებით ასრულებს.



აქტივობა 2: გადააწოდე კამერა

აღწერა: მას შემდეგ რაც მონაწილეები გაეცნობიან საკვლევ კითხვებს, ფასილიტატორები წარუდგენენ მათ ფილმწარმოების ტექნიკურ მხარეს. წინამდებარე აქტივობა შემუშავებულია მონაწილეებისთვის კამერასთან დაკავშირებული მანიპულაციების წარსადგენად და მათთვის გადაღებაში მონაწილეობის მიღებისა და უშუალოდ გადაღების გამოცდილების შესაძენად.

საჭირო მასალები:

- კამერა, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტში (შენიშვნა: გამძლე, მინიმალური ფუნქციების მქონე კამერაც გამოსადეგია გადაღების გამოცდილების არმქონე მონაწილეებისთვის. ჩვენმა გუნდმა წინა პროექტებში GoPros და iPad Pros კამერები გამოიყენა. დასაშვებია ტელეფონებიც)
- კომპიუტერი და პროექტორი

ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- სთხოვეთ ყველას დასხდნენ წრეზე (ფასილიტატორების ჩათვლით) სკამებზე ან იატაკზე, როგორც მოსახერხებელი იქნება მათთვის.
- როგორც ფასილიტატორმა მოახდინეთ იმის დემონსტრირება, თუ როგორ მოეპყრან კამერას. აჩვენეთ საბაზისო ფუნქციები, როგორ ჩართონ კამერა, ასევე - როგორ დაიწყონ და გააჩერონ ჩაწერა.
- გამოიხმეთ მოხალისე. აუხსენით მონაწილეებს, რომ თითოეული მათგანი მოსინჯავს კამერას, რაც უფრო კომფორტულად აგრძნობინებთ თავს ჯგუფში. მონაწილეები დასაწყისში შეიძლება უხერხულად გრძნობდნენ თავს, მაგრამ გაამხნევეთ ისინი და უთხარით, რომ არ არსებობს არასწორი გადაღება და, რომ თქვენ მხოლოდ რჩევებს უზიარებთ მათ! აუხსენით, რომ ყველას ექნება საშუალება გამოიყენოს კამერა გადასაღებად და გაავარჯიშოს მეტყველება კამერების წინ.
- გადაიღეთ მოკლე საცდელი ვიდეო, კამერის ჩართვითა და მოხალისისთვის 1) გადაღების ნებართვის, 2) სახელისა და 3) სადემონსტრაციო კითხვის დასმით (მაგ.: რისი სწავლის იმედი გაქვს ამ პროექტში მონაწილეობის მიღებით?)
- გამორთეთ კამერა და გადააწოდეთ მოხალისეს, რომელიც გაიმეორებს პროცესს წრეში მის შემდეგ მდგომ მონაწილესთან ერთად.
- განაგრძეთ აქტივობა მანამ, სანამ ყველა მონაწილეს არ მოუწევს კამერის გამოყენება და კამერის წინ საუბარი.
- გადაიტანეთ ვიდეოჩანაწერი კამერიდან კომპიუტერში და უყურეთ ჯგუფთან ერთად.
- თითოეული ნაწყვეტის შემდეგ მოკლედ ჰკითხეთ ჯგუფის მონაწილეებს რა მოეწონათ აღნიშნულ ჩანაწერში და რა შეიძლება შეიცვალოს. ფასილიტატორებს შეუძლიათ გაუზიარონ დამატებითი რჩევები და ხრიკები. დასასრულს ფასილიტატორებმა უნდა შეახსენონ ყველას, რომ ისინი სემინარების განმავლობაში უნარების განმტკიცებას კიდევ შეძლებენ.

აქტივობა 3: კადრირება

აღწერა: კადრირების მიზანია მონაწილეთა წახალისება, რათა დაგეგმონ თუ რისი გადაღება სურთ ფილმში და სტრატეგიულად იფიქრონ გარკვეული ელემენტების საჩვენებლად სად, ვინ და რატომ უნდა გადაიღონ. უფრო მეტიც, კადრირებამ შეიძლება შეასრულოს გზამკვლევის ან საკონტროლო სიის ფუნქცია რეჟისორისთვის.

საჭირო მასალები:

- ფართე ქაღალდის ფურცლები ან რვეული
- ფერადი ფანქრები
- ერთი ფართე ცარიელი 6-8 განყოფილებიანი ფურცელი (წებოვანი) (რჩევა: ასეთი ფურცლის არქონის შემთხვევაში გამოდგება ფურცლის გადაკეცვა სამ ან ოთხ ნაწილად.)

ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- მონაწილეებთან ერთად გადახედეთ საკვლევ კითხვასა და ფილმის მონახაზს. ასევე, წაახალისეთ ისინი, რათა კადრების გადაღებისას კვლევის მონახაზზე დარჩნენ ფოკუსირებულნი.
- განმარტეთ კადრირება მონაწილეებისთვის. მაგალითად, კადრირება არის ჩანახატების ერთობლიობა, რომლიც წარმოგვიდგენს თითოეულ გადასაღებ კადრს. კადრირება ეხმარება გადაღების დაგეგმვაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საკუთარი ფილმის ფურცელზე დახატვა.
- პირველ რიგში, დიდ ფურცელზე ხატვით ჯგუფურად იმუშავეთ ნიმუშზე. ახსენით, რომ არ არსებობს სწორი და არასწორი გადაღება და რომ თითოეულმა მონაწილემ სხვადასხვა ადგილები, ადამიანები და კადრები უნდა ჩართოს საკუთარი ფილმის გადაღების პროცესში.
- ახსენით, რომ შესანიშნავია თუ ყველა მონაწილის მიერ გადაღებული ფილმი განსხვავებული იქნება და რომ მონაწილეებმა უნდა იფიქრონ შემოქმედებითად.
- შემდეგ სთხოვეთ მონაწილეებს შექმნან ინდივიდუალური კადრირება საკუთარი ფილმის 6-8 ნაწილად ფურცელზე დახატვით. ეს სავარჯიშო სწრაფად ჩაივლის - ეს ჩანახატები სკეტჩებია და არ საჭიროებს მრავლობითი დეტალის გათვალისწინებას.
- მიეცით მონაწილეებს დაახლოებით 20 წუთი ამ დავალების შესასრულებლად.
- სთხოვეთ მონაწილეებს მიაწებონ საკუთარი ნახატები კედელზე.
- ჯგუფურად იმოძრავეთ ოთახის გარშემო და შეხედეთ ერთმანეთის კადრირებებს. სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს წარადგინოს საკუთარი ერთი კადრი. ფასილიტატორი კი უნდა ჩაეკითხოს მათ:

  - სად მოხდება კადრის გადაღება?
  - რის თქმას/ ჩვენებას/განხორციელებას აპირებთ ამ კადრით?

აქტივობა 4: გადაღების პრაქტიკა

აღწერა: ტრენინგის დროს მნიშვნელოვანია მონაწილეებს მიეცეთ გადაღებაში ვარჯიშის საშუალება, რათა გამოიმუშაონ უნარები და გახდნენ უფრო მეტად თავდაჯერებულები. პრაქტიკის დროს, მონაწილეები ისწავლიან აპარატურის გამოყენებას, სირთულეების იდენტიფიცირებას, რომლებიც შეიძლება გადაღებისას გამოვლინდეს და ასევე სტრატეგიების შემუშავებას, რომელიც მათ გადალახვაში დაეხმარებათ.

საჭირო მასალები:

- კამერა, რომელიც კვლევაში იქნება გამოყენებული
- მონაწილეთა კადრირებები
- კომპიუტერი და პროექტორი
- ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:
- დაყავით მონაწილეები მცირე, 3-4 მონაწილიან ჯგუფებად (დამოკიდებულია კამერების რაოდენობაზე)
- სთხოვეთ მონაწილეებს აირჩიონ ერთი ჩანახატი საკუთარი კადრირების დაფიდან გადაღებაში სავარჯიშოდ.
- ურჩიეთ მონაწილეებს რიგრიგობით გავიდნენ თემში/გადაღების ადგილას და გადაიღონ კადრირებიდან ერთი სცენა. მათ შეუძლიათ დაეხმარონ ერთმანეთს კამერით ოპერირებაში და უხელმძღვანელონ ერთმანეთის ფილმებს. თითოეულ მონაწილეს ექნება კამერის გამოყენებისა და კადრში მოხვედრის შესაძლებლობა.
- ექსპერიმენტის შემდეგ ფასილიტატორს ჩანაწერი გადააქვს კომპიუტერში და ჯგუფს აჩვენებს.
- თითოეული ეპიზოდის შემდეგ ჰკითხეთ მონაწილეებს:
  1) რა მოსწონთ ამ ეპიზოდში?
  2) რა შეიძლება შეიცვალოს უკეთესობისკენ?
- ფასილიტატორს შეუძლია ასევე გამოიყენოს შესაძლებლობა მიაწოდოს გადაღების ირგვლივ დამატებითი რჩევები (იხ. გვ 14)





რჩევები გადაღებისთვის

ხმა

კადრში ისაუბრეთ ხმამაღლა და გარკვევით. ასევე მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ გადაღებისას გარემოში სიმშვიდეა. გააცნობიერეთ გარემოში არსებული ხმები (მაგ. მანქანები, ძაღლების ყეფა, ადამიანების საუბარი ფონად და ა.შ.)

გადაღება

თქვენი ფილმის განწყობა და ემოცია შეიძლება შეიცვალოს კამერის დაჭერის კუთხის შესაბამისად. მაგალითად, ფოკუსის თვალის გასწვრივ გაჩერება აღბეჭდავს იმას, რაც ხდება ფილმის შემქმნელის ხედვის დონეზე. თუ კამერა იყურება ზევით, მონაწილეებს შეუძლიათ აღბეჭდონ საგნები, რომლებიც მათზე მაღალია. აღნიშნული ადამიანების შემთხვევაში გამოხატავს „ძალაუფლებას“. განიხილეთ ფართე და ახლო კადრების შესაძლებლობა. მაგალითად, ფართე კადრი შეიძლება გამოიყენოთ პიროვნების ან სივრცის აღსაბეჭდად, ხოლო ახლო კადრი - დეტალების საჩვენებლად.

უძრაობა

კამერის უმოძრაოდ დაჭერა იძლევა კარგი კადრის გადაღების საშუალებას. თქვენ შეგიძლიათ სიარულისას სხეულისგან განზე დაიჭიროთ იდაყვები კამერის უძრავად გასაჩერებლად ან გამოიყენოთ შტატივი.

ლინზა

ყველაზე დელიკატური ნაწილი კამერის ლინზაა, შესაბამისად მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება არ იყოს ჭუჭყიანი ან გაჩხაპნილი. გადაღებამდე უნდა გაწმინდოთ ლინზა რბილი ნაჭრით რათა მოაშოროთ ნადები.

გუნდური მუშაობა

ფილმის გადაღება არის გუნდური აქტივობა. თქვენ შეგიძლიათ დაიხმაროთ მეგობრები და ოჯახის წევრები ფილმის გადასაღებად.

თანხმობა

სანამ სხვებს გადაიღებთ, ყოველთვის უნდა ითხოვოთ ნებართვა.

ნაბიჯი 2: გადაღება/ მონაცემთა შეგროვება

სწავლების შემდეგ მონაწილეები გავლენ კამერებით თემში/გადაღების ადგილზე ფილმის გადასაღებად. რეკომენდებულია მკვლევრები დარჩნენ კვლევის განხორციელების ადგილზე/იყვნენ მისაწვდომი მონაცემთა შეგროვებისას, რათა რეაგირება მოახდინონ სირთულეებზე, არსებობის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ არანაირი ფორმით არ მოხდეს მკვლევრების ჩართვა კამერით საქმიანობის პროცესში. ნაცვლად ამისა, თუ მონაწილეებს სჭირდებათ გადაღებისას დახმარება, სასურველია მხარდაჭერა მოიძიონ მეგობრებში ან ოჯახის წევრებში, რათა შექმნან ფილმი საკუთარი შემოქმედებითი ხედვით.

ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- დააორგანიზეთ აღჭურვილობის გამოყენების განრიგი მონაწილეთათვის ფილმის გადასაღებად
- გაეცით და შეაგროვეთ აღჭურვილობა
- იყავით მისაწვდომი მონაწილეთათვის კითხვებზე საპასუხოდ

ნაბიჯი 3: ფილმის მონტაჟი და მომზადება ანალიზისთვის

ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- მას შემდეგ რაც გადაღება დამთავრდება, მკვლევრები აკრეფენ აღჭურვილობას და გადააქვთ ჩანაწერი კამერიდან გარე მეხსიერების ბარათზე (შენიშვნა: მკვლევრებმა კონსულტირება უნდა გაიარონ ეთიკის საბჭოსთან, მონაცემთა შენახვისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ).
- შემდგომ მკვლევართა გუნდი ამონტაჟებს თითოეული მონაწილის ეპიზოდებს ერთ ფილმის ფაილად და ასათაურებს (საჭიროების შემთხვევაში) საერთო ანალიზის აქტივობისთვის. პროექტის მიზნებიდან და მონაწილეთა რეჟისორული უნარებიდან გამომდინარე, მკვლევრებმა შესაძლოა აირჩიონ:

1. მიყვნენ მონტაჟის გარეშე (ინგლ. No Editing Required (NER)) მეთოდს, სადაც მონაწილეები იღებენ საკუთარ ფილმებს თანმიმდევრულად, კადრირების მიხედვით (Treffry-Goatley et al., 2017) (MacEntee, 2015.)
2. დაამონტაჟონ ფილმი მონაწილეებთან ერთად.
3. ასწავლონ მონაწილეებს მონტაჟის საფუძვლები კოლაბორაციული ფილმწარმოების სემინარების ფარგლებში; ან
4. თავად დაამონტაჟონ ფილმები და შემდეგ გაუზიარონ მონაწილეებს საბოლოო თანხმობისთვის.

- ფილმების მიმოხილვისას მკვლევრები ადგენენ დამაზუსტებელი კითხვების სიას და ნიმუშებს. მოინიშნავენ მონაკვეთებს, რომლებიც საკვლევი კითხვების გათვალისწინებით მეტ ინფორმაცას საჭიროებენ. საბოლოო ჯამში ფილმის გადატანა ხდება QuickTime-ის ან mp4 ფორმატში ეკრანზე გასაშვებად და ანალიზისთვის.

ნაბიჯი 4: ერთობლივი ანალიზი

ინდივიდუალური ერთობლივი ანალიზის სესია

აღწერა: ინდივიდუალური ერთობლივი ანალიზის სესიისთვის თითოეული მონაწილე ხვდება ფასილიტატორს მკვლევართა გუნდიდან მასალის საყურებლად და აუდიო ინტერვიუსთვის. მაშინ, როცა მხოლოდ ფილმები ასტიმულირებენ და გვაწვდიან უხვ დეტალებს, ერთობლივი ანალიზის სესიები მთავარი კომპონენტებია უშუალოდ მონაწილეებისგან კონტექსტის შესახებ ინფორმაციის დასამატებლად და ფილმში არსებული მოქმედებების, დიალოგებისა და ქცევების დასაზუსტებლად. ინდივიდუალური ანალიზის სესიის დროს მკვლევართა გუნდის მეორე წარმომადგენელი აკეთებს ჩანაწერებს და დიდ ყურადღებას აქცევს კითხვებს, რომლებიც იწვევენ დაბნეულობას. აღნიშნული შეხვედრა უნდა გაიმართოს მშვიდ და პრივატულ გარემოში.

საჭირო მასალები:

- მონაწილეების გადაღებული მასალები, საჭიროებისამებრ დამონტაჟებული და დასათაურებული
- დამაზუსტებელი კითხვების სია და დისკუსიის წარმართვის გზამკვლევი (ნიმუში იხ. გვ 17)
- ლეპტოპი
- აუდიო ჩამწერი



ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- დაიწყეთ მონაწილეთა მიერ გადაღებული ფილმის ყურებით
- დასვით კითხვები თითოეულ მონაკვეთთან მიმართებაში საკუთარი ფილმის ანალიზის პროცესში მონაწილის მხარდასაჭერად. საერთო ანალიზისას გამოიყენება SHOWeD მეთოდი მონაწილეთა ფილმების განსახილველად (Catalani et al., 2012) (Shaffer,1980) (Wang et al., 2004) (Warren et al., 2014). SHOWeD-ის ტექნიკა დაფუძნებულია ფრეირენის კითხვარზე (Wang et al., 2001)სადაც ფასილიტატორები სვამენ ხუთ კითხვას თითოეული მონაკვეთის გასაგებად:

1) რას ხედავთ?
2) რა ხდება სინამდვილეში?
3) როგორაა დაკავშირებული გადაღებული ეპიზოდი ჩვენს ცხოვრებასთან?
4) რა განაპირობებს ამ გარემოებების არსებობას?
5) რისი გაკეთება შეგვიძლია აღნიშნულთან მიმართებაში?

- დაუსვით დამაზუსტებელი კითხვები მონაწილეს. აღნიშნული კითხვები იძლევიან გაურკვეველი მონაკვეთების, ან ფილმის შექმნის პროცესით აღძრული ინტერესების ირგვლივ მოქნილი დისკუსიის საშუალებას
- შეეკითხეთ მონაწილეს სურს თუ არა შეცვალოს საკუთარი ფილმი რაიმე მიმართულებით (მაგ: მონტაჟი, გარკვეული კადრების დაჭრა ან თავიდან გადაღება)
- სესიების შემდეგ, ფასილიტატორი და ჩანაწერების გამკეთებელი ახდენენ რეფლექსიას საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და აწარმოებენ საველე დღიურს საინტერესო მიგნებების, კითხვებისა და პატერნების ჩასანიშნად.

ჯგუფური ერთობლივი ანალიზის სესია

აღწერა: ინდივიდუალურად ყველა მონაწილესთან განხორციელებული ერთობლივი ანალიზის სესიების შემდეგ, მათი მიპატიჟება ხდება საერთო ჩვენებასა და ერთობლივ დისკუსიაზე. ჯგუფური დისკუსია მიზნად ისახავს გამოიკვლიოს შეხედულებათა მრავალფეროვნება, რომელიც თავის მხრივ გამოკვლეულია ფილმის ფარგლებში, რამეთუ ისინი უკავშირდება საკვლევ კითხვებს. ამასთანავე დისკუსიის მიზანია შეთანხმების მიღწევა. ჯგუფური დისკუსიის გზამკვლევიც მიყვება SHOWeD მეთოდს (ნიმუში იხ. ზემოთ).

საჭირო მასალები:

- ყველა მონაწილის ფილმი, საჭიროებისამებრ დამონტაჟებული და დასათაურებული
- ლეპტოპი
- აუდიო ჩამწერი
- დისკუსიის გზამკვლევი

ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- დაიწყეთ პირველი მონაწილის ფილმის ჩვენებით
- ჩვენების შემდეგ ფასილიტატორი უძღვება გუნდს ფილმის ირგვლივ დისკუსიის პროცესს და შემქმნელს ეძლევა საშუალება გააზიაროს ფიქრები და პასუხები ჯგუფში წარმოქმნილ კითხვებზე
- გაიმეორეთ პროცესი ყველა მონაწილის ფილმის შემთხვევაში
- დასასრულისკენ კითხეთ მონაწილეებს თუ სურთ საბოლოო ცვლილებების შეტანა საკუთარ ფილმებში
- სესიის შემდეგ ფასილიტატორები და ჩანაწერების გამკეთებლები ახდენენ რეფლექსიას გამოცდილების შესახებ, და აწარმოებენ საველე დღიურს საინტერესო მიგნებების, კითხვებისა და პატერნების ჩასანიშნად.

ერთობლივი ანალიზისა და ჯგუფური დისკუსიის გზამკვლევი კოლაბორაციული ფილმწარმოებისთვის

მისალმება/ საკითხის მიმოხილვა / ძირითადი წესები:

საღამო მშვიდობისა! დიდი მადლობა დღევანდელ სესიაში მონაწილეობის მისაღებად დროის გამონახვისთვის. ჩემი სახელია **ჩასვით ფასილიტატორის სახელი** და მე დაგისვამთ კითხვებს დღეს, რათა გამოვიკვლიოთ თქვენი გამოცდილება კოლაბორაციული ფილმწარმოების პროექტის ფარგლებში. ჩემთან დღეს არის **ჩასვით ჩანაწერების გამკეთებლის სახელი**, რომელიც დამეხმარება და გააკეთებს ჩანაწერებს ჩვენი დისკუსიის პროცესში.

ჩემი საქმეა დაგისვათ კითხვები და მოგისმინოთ. ჩვენ გვსურს გავიგოთ მეტი თქვენი გამოცდილების შესახებ ფილმწარმოების პროექტში. გთხოვთ მოგვიყვეთ მეტი, თუ რისი გადაღება გადაწყვიტეთ. არ მოგერიდოთ დაგვისვათ კითხვები ნებისმიერ დროს.

ნებართვა დაკვირვებისთვის: მე მსურს მივიღო თანხმობა თქვენგან რათა იყოს ჩასვით ჩანაწერების გამკეთებლის სახელი და გვარი ჩვენთან ერთად დისკუსიის პროცესში. ცხადია თქვენ შეგიძლიათ უარის თქმა.

სესიის წარმართვის ძირითადი წესები: არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი ჩემ მიერ გაჟღერებულ კითხვებზე. გთხოვთ არ მოგერიდოთ საკუთარი აზრების თავისუფლად გაზიარება.

სანამ დავიწყებთ, გაგაცნობთ რამდენიმე წესს, რომელიც პროცესის წარმართვაში დაგვეხმარება. მე გავაკეთებ აუდიო ჩანაწერს, რადგან არ გვინდა გამოგვრჩეს თქვენი რომელიმე კომენტარი. ჩვენ ასევე გვსურს აირჩიოთ შემცვლელი სახელი თქვენთვის, რომლითაც სესიის დროს მოგმართავთ. ჩვენ მას თქვენი ნამდვილი სახელის ნაცვლად გამოვიყენებთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ჯგუფის მიღმა არავის ექნება წვდომა თქვენს სახელზე და პერსონალურ ინფორმაციაზე.

რისკების შესახებ ინფორმირება: შეავსეთ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი თანხმობის ფორმა? თქვენ ასევე მიიღეთ თქვენი მშობლის/ მეურვის ნებართვა მათ მიერ თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით. მსურს ყურადღება გავამახვილო აღნიშნული დოკუმენტის ერთ ნაწილზე რათა დავრწმუნდე, რომ სრულიად გესმით ის.

ამ თანხმობისა და ნებართვის ფორმაში, გამოყოფილია „რისკებისა და დისკომფორტების“ ნაწილი, რომელიც ამბობს: „რადგან ჩვენ არ ვითხოვთ პერსონალურ ინფორმაციას ან ქცევას, არცერთმა კითხვამ რომელსაც გისვამთ არ უნდა შეგიქმნათ უხერხულობა“. თუმცა, თქვენ არ უნდა უპასუხოთ კითხვას, რომელზე პასუხის გაცემაც არ გსურთ. თუ თქვენ გაქვთ კითხვები შეგიძლიათ დასვათ ახლა, თუ არა და დავიწყოთ ჩვენი დისკუსია. (უპასუხეთ კითხვებს ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კარგი, მოდი დავიწყოთ. ჩვენ დღეს ვისაუბრებთ ვიდეო ჩანაწერებზე, რომელიც გადაიღეთ კოლაბორაციული ფილმწარმოების პროექტის ფარგლებში. ჩვენ გვსურს მეტი გავიგოთ იმ ჩანაწერების შესახებ, რომელიც თქვენი ხედვით გადაიღეთ.

მოდი შევხედოთ თქვენს კინო ფირს. დისკუსიის გამარტივების მიზნით ეკრანზე ჩანაწერები გაუშვით სეგმენტებად ან სცენებად. თითოეული სეგმენტის ირგვლივ იმსჯელეთ შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. რას ხედავ ?
2. რა ხდება სინამდვილეში?
3. როგორაა დაკავშირებული გადაღებული ეპიზოდი ჩვენს ცხოვრებასთან?
4. რა განაპირობებს ამ გარემოებების არსებობას?
5. რისი გაკეთება შეგვიძლია აღნიშნულთან მიმართებაში?

განაგრძეთ მსჯელობა ფილმის ყველა მონაკვეთის შესახებ. დასვით მომზადებული დამაზუსტებელი კითხვები. ბოლოს კითხეთ მონაწილეს თუ აქვს კიდევ რაიმეს თქმის ან კითხვის სურვილი. დისკუსია დაასრულეთ მათთვის მადლობის გადახდით.

ნაბიჯი 5: ჩვენება თემში

აღწერა: მას შემდეგ რაც ფილმი დასრულდება, მიმდინარეობს თითოეული მონაწილის ინდივიდუალური გამოკითხვა, არიან თუ არა თანახმა მათი ჩანაწერები გაერთიანდეს საბოლოო ფილმში, რათა მოხდეს საზოგადოებისთვის გაზიარება (მაგ: თემში ფილმის ჩვენებებზე, ადგილობრივ ჩვენებებზე, ფილმის ფესტივალებზე, ხელნაწერებში, ონლაინ, აკადემიურ კონფერენციებზე და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში ცალკე თანხმობის ფორმას უნდა მოეწეროს ხელი, რომლის თანახმადაც მოხდება ჩანაწერების გასაჯაროება. ეს არის მნიშვნელოვანი საფეხური იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ ვისაც სურს ანონიმურად მონაწილეობა კვლევაში და საკუთარი მოსაზრებების გაზიარება მხოლოდ კვლევითი მიზნებისთვის, ამას შეძლებენ. თუმცა, ზოგიერთი მონაწილე შესაძლებელია ამაყობდეს საკუთარი ფილმით და სურდეს სხვებისთვის გაზიარებაც. შესაბამისად მნიშვნელოვანია იცოდეთ თუ ვინ არის მსურველი.

მათთვის ვისაც სურს საკუთარი ფილმის საჯაროდ ჩვენება, ხდება ჩვენების დაორგანიზება თემში, სადაც მონაწილეებს ეძლევათ შემოქმედებითი მართვის სადავეები. მათ ეკითხებიან ვისი დაპატიჟება და რა ტიპის აქტივობების განხორციელება სურთ. კოლაბორაციული ფილმწარმოების ეს უნიკალური ასპექტი განვითარდა თემზე დამყარებული მონაწილეობითი კვლევის (ინგლ. Community-based participatory research (CBPR)) პრინციპზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც მონაწილეები უნდა ჩაერთონ კვლევის მთლიან პროცესში, რომელიც გავრცელებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებსაც მოიცავს. თემში ჩვენება შეიძლება შედგებოდეს ფილმის ჩვენებისა და სხვა ასპექტებისგან, მაგალითად, როგორიცაა დაჯილდოების ცერემონია, თემის ლიდერებისა და მონაწილეების მოკლე გამოსვლები. ჩვენება საშუალებას იძლევა ადგილობრივებში გაზიარდეს კვლევის შედეგები და უზრუნველყოს კვლევისა და მასთან ასოცირებული პროცედურების გამჭვირვალეობა.

ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- ჰკითხეთ თითოეულ მონაწილეს თუ სურთ საკუთარი ფილმის საჯაროდ ჩვენება. თანხმობის შემთხვევაში, შეავსეთ ცალკე არსებული თანხმობის/ნებართვის ფორმა.
- შეხვდით მონაწილეებს რათა გააკეთოთ თემში ჩვენების ორგანიზება
- უმასპინძლეთ ღონისძიებას მოსახერხებელ ადგილსა და დროს, აჩვენეთ ფილმები ეკრანზე და განახორციელეთ წინასწარ შეთანხმებული აქტივობები

ნაბიჯი 6: შედეგების სინთეზირება ფართე გავრცელებისთვის

აღწერა: კოლაბორაციული ფილმწარმოების პროცესს მივყავართ მონაცემთა სხვადასხვა ტიპებთან, მათ შორის:

1. მონაწილეთა ფილმები
2. ერთობლივი ანალიზისა და ჯგუფური დისკუსიის აუდიოჩანაწერები
3. საველე ჩანაწერები

მკვლევრებს შეუძლიათ გამოიყენონ ხარისხობრივი ანალიტიკური მეთოდი და გაანალიზონ აღნიშნული სხვადასხვა ტიპის მონაცემები, რათა პასუხი გასცენ პროექტის საკვლევ კითხვებს.

საჭირო მასალები:

- დაუმუშავებელი მონაცემები (ფილმები, ტრანსკრიპტები, ჩანაწერები)
- კომპიუტერი
- პროგრამული უზრუნველყოფა მონაცემთა კოდირებისთვის

ფასილიტატორის შესასრულებელი აქტივობები:

- გაშიფრეთ ინდივიდუალური ერთობლივი ანალიზის სესიისა და ჯგუფური დისკუსიის აუდიო ჩანაწერები და საჭიროებისამებრ შეუცვალეთ ფორმა.
- მოამზადეთ დამშიფვრელები მკვლევართა გუნდიდან, რათა უყურონ ფილმს და გადახედონ ტრანსკრიპტს, რათა განავითარონ პირველადი კოდების წიგნაკი.
- დამშიფვრელებს შეუძლიათ გამოიყენონ ხარისხობრივი კვლევის პროგრამა, როგორიცაა NVivo, ან შექმნან სტანდარტული მაიკროსოფთ ექსელის შაბლონი, რათა კადრებსა და ტრანსკრიპტებს კოდები და სიმბოლოები შეუსაბამონ.
- მას შემდეგ რაც მონაცემების კოდირება განხორციელდება ყველა დამშიფვრელისგან დამოუკიდებლად, აცდენები იდენტიფიცირდება და ჩასწორდება.
- როგორც საბოლოო ნაბიჯი, კვლევითი გუნდი ახდენს შედეგების სინთეზირებას სამომავლო გავრცელებისთვის, იყენებს რა თემატურ ანალიზსა და საილუსტრაციო ციტატებს მონაცემების მთავარი საკითხების საჩვენებლად. აკადემიურ კონფერენციაზე, ფილმის ფესტივალზე და აკადემიურ ჟურნალში გასაზიარებლად საბოლოო ნარატიული ფორმატი შეიძლება გაფორმდეს ფოტოებით, ფილმის ბმულებით და ილუსტრირებული ციტატებით.

სხვა ღირებული რესურსები

სანიმუშო პროექტები:

კვლევებისა და პროექტების ნიმუშების სანახავად, რომლებიც იყენებდნენ კოლაბორაციულ ფილმწარმოებას, ან საკუთარი პროექტის გასაზიარებლად, ეწვიეთ ვებგვერდს www.collaborativefilmmaking.com

საკონტაქტო ინფორმაცია

ჩვენ მოხარულები ვართ მხარი დაგიჭიროთ თქვენს შემდგომ კოლაბორაციულ ფილმწარმოებით პროექტში

დაგვიკავშირდით:

Sara Baumann – sab269@pitt.edu
პოსტ სადოქტორო მკვლევარი პიტსბურგის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში

Jessica Burke – jgburke@pitt.edu
პროფესორი და განათლების ასოცირებული დეკანი პიტსბურგის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში

ბიბლიოგრაფია

1. Baumann S, Merante M, Folb B, Burke J. Is Film As a Research Tool the Future of Public Health?: A Review of Study Designs, Opportunities and Challenges. 2019.
2. Gupta RS, Lau CH, Springston EE, et al. Perceived factors affecting asthma among adolescents: Experiences and findings from the student asthma research team pilot study. J Asthma Allergy Educ. 2013;4(5):226-234. doi:10.1177/2150129712472342.
3. Warren CM, Dyer A, Blumenstock J, Gupta RS. Leveraging mobile technology in a school-based participatory asthma intervention: Findings from the student media-based asthma research team (SMART) study. Am J Heal Educ. 2016;47(2):59-70. doi:10.1080/19325037.2015.1133337.
4. Chung RJ, Sherman L, Goodman E, Bickham DS, Rich M. Exploring the perspectives of obese adolescent girls. Qual Health Res. 2013;23(10):1369-1376. doi:10.1177/1049732313505777.
5. Akre C, Light A, Sherman L, Polvinen J, Rich M. What young people with spina bifida want to know about sex, and aren't being told. Child Care Heal Dev. 2015;41(6):963-969. doi:doi:10.1111/cch.12282.
6. Lundström M, Ekborg M, Ideland M. To vaccinate or not to vaccinate: How teenagers justified their decision. Cult Stud Sci Educ. 2012;7(1):193-221. doi:10.1007/s11422-012-9384-4.
7. Petros R, Solomon P, Linz S, DeCesaris M, Hanrahan NP. Autovideography: The lived experience of recovery for adults with serious mental illness. Psychiatr Q. 2016;87(3):417-426. doi:10.1007/s11126-015-9397-8.
8. Mirza M, Harrison EA, Chang HC, Salo CD, Birman D. Making sense of three-way conversations: A qualitative study of cross-cultural counseling with refugee men. Int J Intercult Relations. 2017;56:52-64. doi:10.1016/j.ijintrel.2016.12.002.
9. Milne E-J, Mitchell C, De Lange N. Handbook of Participatory Video. AltaMira Press; 2012. doi:10.1080/1472586X.2013.830023.
10. Samuel J. What is people-centered advocacy? PLA Notes. 2002;43:9-12.
11. Catalani C, Veneziale A, Campbell L, et al. Videovoice: Community assessment in post-Katrina New Orleans. Health Promot Pract. 2012;13(1):18-28. doi:10.1177/1524839910369070.
12. Treffry-Goatley A, Wiebesiek L, Lange N, Moletsane R. Technologies of nonviolence ethical participatory visual research with girls. Girlhood Stud. 2017;10(2). doi:10.3167/ghs.2017.100205.
13. MacEntee K, Mandrona A. From discomfort to collaboration: Teachers screening cellphilms in a rural South African school. Perspect Educ. 2015;33(4):42-56. https://www.scopus.com/inward/record.uri?eid=2-s2.084962228373&partnerID=40&md5=02d4f40e7696f6d9ee5dd2be294f372a.
14. Shaffer R. Beyond the Dispensary: On Giving Community Balance to Primary Health Care. Nairobi, Kenya: African Medical Research Foundation; 1980.
15. Wang CC, Morrel-Samuels S, Hutchison PM, Bell L, Pestronk RM. Flint Photovoice: Community building among youths, adults, and policymakers. Am J Public Health. 2004;94(6):911-913. doi:10.2105/AJPH.94.6.911.
16. Warren CM, Knight R, Holl JL, Gupta RS. Using Videovoice methods to enhance community outreach and engagement for the national children's study. Health Promot Pract. 2014;15(3):383-394. doi:10.1177/1524839913503470.
17. Wang CC, Redwood-Jones YA. Photovoice ethics: perspectives from Flint Photovoice. Heal Educ Behav. 2001;28(5):560-572.

დანართი A – კოლაბორაციული ფილმწარმოების მშობელთა თანხმობის /ახალგაზრდების ნებართვის ფორმების ნიმუში

დაწერეთ კვლევის სახელწოდება

კვლევის განმარტება

მკვლევართა გუნდი: მკვლევართა გუნდს უძღვება **სახელი, ორგანიზაცია.**

კვლევის წინაპირობა: წინამდებარე კვლევა ხორციელდება **აღწერეთ პოპულაცია** სამუშაოდ **წარადგინე საკვლევი კითხვა** შესახებ. ეს არის ხელოვნებაზე დაფუძნებული პროექტი, რომელიც იყენებს შემოქმედებითობას, ფილმწარმოებასა და ერთობლივ საუბრებს რათა შეისწავლოს მნიშვნელოვანი საკითხები. პროექტის განმავლობაში და დისკუსიის პროცესში შესწავლილი საკითხები დაგვეხმარება განვსაზღვროთ თუ რამდენად კარგია კოლაბორაციული ფილმწარმოების მიდგომა სამომავლოდ თემში სამუშაოდ.

კვლევის გეგმა: თუ თქვენ და თქვენი ბავშვი თანხმდებით მიიღოთ მონაწილეობა, გთხოვთ, მოაწეროთ ხელი აღნიშნულ თანხმობის ფორმას. ეს ფორმა ახდენს ნებართვის დოკუმენტირებას. თქვენი შვილი მიიღებს მონაწილეობას ფილმწარმოების სემინარში სხვა მონაწილეთა რაოდენობა მონაწილესთან ერთად. სემინარები გაიმართება უქმე დღეებში ან არასასკოლო დროს, და ის განხორციელდება სოფელში, ამგვარად თქვენს შვილს არ მოუწევს შორს წასვლა **(ჩაანაცვლეთ შესაბამისი ფორმულირებით კვლევის პოპულაციის მიხედვით)**. სემინარები გაიმართება 1.5 დღის განმავლობაში (პირველ დღეს - 6 საათი, მეორე დღეს - 4 საათი), და იქნება მხიარული და აქტიური სესიები **აღწერეთ** მონაწილეებისთვის. ისინი ისწავლიან ამბის თხრობას, ფილმის წარმოებასა და მონაწილეობას მიიღებენ თამაშებში და სავარჯიშოებში. კვება სრულად დაფინანსდება.

სემინარების შემდეგ თქვენი ბავშვი ციფრული ვიდეოკამერით გადაიღებს **კვლევის თემა** შესახებ. მას ვთხოვთ იყოს შემოქმედებითი და გამოიყენოს ახალი უნარები. მას ექნება კამერა **ხანგრძლივობა** განმავლობაში და გადაიღებს სურვილისამებრ **ხანგრძლივობა** პერიოდში.

გადაღების შემდეგ მას ვთხოვთ მონაწილეობა მიიღოს ერთსაათიან დისკუსიაში მკვლევართა გუნდთან ერთად ფილმის საყურებლად და სამსჯელოდ. ჩვენ არ ვკითხავთ მის პირად გამოცდილებაზე და არ მოვთხოვთ გაგვიზიაროს პერსონალური გამოცდილება.

ნაცვლად ამისა განვიხილავთ, თუ რა გამოცდილება აქვთ მისი ასაკის ადამიანებს.
შემდეგ მას ვთხოვთ სხვა მონაწილეებთან ერთად ჩაერთოს შეგროვილი ჩანაწერების ირგვლივ გამართულ ერთსაათიან ჯგუფურ დისკუსიაში. განხორციელდება დისკუსიის აუდიო ჩაწერა. ფილმის ჩანაწერებს გაეცნობიან კვლევითი გუნდი და პროექტის სხვა მონაწილეები. თუ თქვენ და თქვენი ბავშვი იქნებით თანახმა, თემთან გასაზიარებლად, საბოლოო ჩვენებისთვის მის მიერ გადაღებული მასალა დამონტაჟდება სხვა მონაწილეების მიერ გადაღებულ მასალებთან ერთად. არაა აუცილებელი თქვენმა ბავშვმა მონაწილეობა მიიღოს საბოლოო ჩვენებაში იმისათვის, რომ მან მიიღოს მონაწილეობა კვლევის დანარჩენ ნაწილში.
გადაღების პარამეტრები: თქვენს ბავშვს ექნება შესაძლებლობა გადაიღოს სოფელში და შეაგროვოს ჩანაწერები ყველაფერზე, რაც დაკავშირებულია საკვლევ კითხვებთან. მას შეუძლია აიღოს ინტერვიუ სხვა მონაწილეებისგან თუ ექნება მათი თანხმობა. თუმცა მას არ ექნება უფლება ინტერვიუ ჩამოართვას ადამიანებს კვლევის მიღმა, რათა უზრუნველვყოთ კვლევის მიღმა მყოფი ადამიანების პირადი სივრცის დაცვა.
რისკები: მიუხედავად იმისა, ჩვენ არ ვფიქრობთ რომ თქვენი ბავშვი ღელავს, შესაძლოა მან იგრძნოს დისკომფორტი რაღაცეების გაზიარებით, რაც სრულიათ ნორმალურია. მას ვთხოვთ გამოიყენოს შერქმეული სახელები აუდიო ჩანაწერების კონფიდენციალობის დასაცავად. კვლევაში მონაწილეობის მიღება უფასოა. ნებისმიერ ინფორმაცია რასაც მივიღებთ იქნება კონფედენციალური. თქვენს ბავშვს შეუძლია მონაწილეობა შეწყვიტოს ნებისმიერ დროს, როცა თავს არაკომფორტულად იგრძნობს.
სარგებელი: პირდაპირი სარგებელი არ არის.
კომპენსაცია: თქვენი ბავშვი მიიღებს საჩუქარს დათმობილი დროისთვის მადლობის გადახდის ნიშნად. ის ასევე მიიღებს კოლაბორაციული ფილმწარმოების დროს გადაღებული რამდენიმე ფოტოს ასლს.
აღჭურვილობა: ხანგრძლივობის შემდეგ თქვენს ბავშვს ვთხოვთ მკვლევართა გუნდისთვის კამერისა და ვიდეოჩანაწერის დაბრუნებას კარგ, მუშა მდგომარეობაში. თუ თქვენი ბავშვი წააწყდება რაიმე სირთულეს კვლევის პროცესში, ჩვენ მოვითხოვთ, რომ დაუკავშირდეთ მკვლევართა გუნდს. დაზიანების, დაკარგვის ან ქურდობის შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ მკვლევართა გუნდს, ამგვარად ჩვენ შევძლებთ ჩავრთოთ შესაბამისი ოფიციალური პირები.

კონფიდენციალურობა: ჩვენ კონფიდენციალურობის დაცვით შევინახავთ კვლევის შედეგად მიღებულ სრულ ინფორმაციას, რომელიც შეგროვდება ჯგუფური დისკუსიის დროს.
მხოლოდ კვლევაში ჩართული პირები ნახავენ ჯგუფური დისკუსიისას შეგროვილ ინფორმაციას. რადგან იქნება სესიის აუდიოჩანაწერი, თქვენს ბავშვს მიენიჭება შეცვლილი სახელი, რომლითაც მთელი სესიის განმავლობაში მივმართავთ. სრული ინფორმაციის შენახვა მოხდება დალუქულ კაბინეტებში, სადაც შესვლის საშუალება ექნებათ მხოლოდ კვლევით პერსონალს. თქვენი ბავშვის სახელის გამოყენება არ მოხდება არც კვლევის გასაჯარაოებისას. ნებართვას ავიღებთ თქვენგან და თქვენი ბავშვისგან სანამ მისი ნებისმიერი ჩანაწერის დამონტაჟება მოხდება საბოლოო საჩვენებელი პროექტისთვის. თუ მკვლევრები შეიტყობენ, რომ თქვენი ბავშვი ან ვინმე ვისთანაც მათ აქვთ შეხება არიან გარკვეული რისკის ქვეშ, ისინი ვალდებულნი არიან დაუკავშირდნენ შესაბამის სამსახურებს.
მოხალისეობა კვლევისთვის: თქვენი ბავშვი ვალდებული არ არის შეუერთდეს ამ ან სხვა კვლევით პროექტს. ის არ იქნება დასჯილი რაიმე გზით თუ არ მიიღებს მოხალისეობრივ მონაწილეობას აღნიშნულ კვლევაში.
საკონტაქტო ინფორმაცია: თუ თქვენ გაქვთ კითხვები კვლევასთან დაკავშირებით, დაგვიკავშირდით **<u>სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია.</u>**
ფოტომასალა
მე ნებას ვრთავ მკვლევართა ჯგუფს გამოიყენოს კვლევის მიმდინარეობისას გაუფრთხილებლად გადაღებული ჩემი ბავშვის ინდივიდუალური და ჯგუფური ფოტომასალა. აღნიშნული ფოტომასალა იქნება დამხმარე, სხვებისთვის კოლაბორაციული ფილმწარმოების მეთოდის სასწავლებლად, მაგრამ არ იქნება კავშირში ჩანაწერებთან და ფიქრებთან, რომელსაც ჩემი ბავშვი გააზიარებს.

☐ კი
☐ არა

მოხალისეობრივი თანხმობა/ნებართვა

ზემოაღნიშნული საკითხები ახსნილია და ჩემი ამჟამინდელი კითხვები პასუხგაცემულია. მე მესმის, რომ შემიძლია დავსვა კითხვები კვლევის ნებისმიერი ასპექტის შესახებ კვლევის განმავლობაში და ასეთ კითხვებს პასუხს გასცემენ მკვლევრები, ვისი სახელებიც მითითებულია პირველ გვერდზე.

ნებისმიერი კითხვა, რომელიც მე მაქვს ჩემი უფლებების შესახებ, როგორც მონაწილეს პასუხგაცემული იქნება ბიოეთიკის კომისიის მიერ, **დეტალები**.

ბავშვი მონაწილის ბეჭდური სახელი

მონაწილის ხელმოწერა (ნებართვა თუ ბავშვი 18 წლამდეა)

არასრულწლოვანი ბავშვის მშობლის თანხმობა

მე მესმის, რომ როგორც არასრულწლოვანს (18 წლამდე) ზემოთ აღნიშნულ ბავშვმა არ შეუძლია კვლევაში მონაწილეობის მიღება ჩემი ნებართვის გარეშე. შესაბამისად ჩემი ხელმოწერით ამ დოკუმენტზე ვიძლევი თანხმობას სამეცნიერო კვლევაში მისი მონაწილეობის შესახებ.

მშობლის სახელი (დაბეჭდილი) კავშირი მონაწილესთან (ბავშვი)

მშობლის ხელმოწერა თარიღი

მოწმის ხელმოწერა (როცა მშობელს არ შეუძლია წერა)



დანართი B - კოლაბორაციული ფილმწარმოების ვალდებულებებისგან გათავისუფლების კადრში მოხვედრილი სუბიექტებისთვის/ მონაწილეობა საჯარო გადაღებაში

მე, _____ (ვიდეოში ასახული პიროვნების სახელი) თანახმა ვარ გამოიყენონ ჩემი კადრები **კვლევის სათაური** ფარგლებში, რომელიც ხორციელდება **კვლევის ავტორების** მიერ.
მე ნებას ვრთავ მკვლევართა ჯგუფს გამოიყენონ ჩემი ვიდეო კადრები კვლევის პროექტთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და ანგარიშებში, ჩვენებებსა და პრეზენტაციებში, სოციალურ მედიასა და სხვა საჯარო პლატფორმებზე. მე ვიაზრებ, რომ მკვლევრები, პოლიტიკოსები, სტუდენტები და სხვა ადამიანები ჩემი თემიდან ნახავენ ჩემს კადრებს ვიდეოჩანაწერებში.

მონაწილის სახელი: _____
ხელმოწერა: _____
თარიღი: _____

თუ სუბიექტი არასრულწლოვანია მშობლის ნებართვა
სახელი (დაბეჭდილი): _____
ხელმოწერა: _____
თარიღი: _____

თარგმნა: "არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია საზოგადოების კეთილდღეობისთვის"

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

AWS

Collaborative Filmmaking

2022